თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №23

ქ. თბილისი 2018 წელი, 3 აგვისტო, 11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, თევდორე ისაკაძე, დავით უჯმაჯურიძე, ბექა დავითულიანი, ვახტანგ შაქარიშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გაბაშვილი, დავით უთმელიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (საპატიო), გოჩა თევდორაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

მაია ბითაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
დავით ასანიძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი
მერაბ ბოლქვაძე - ა.ა.ი.პ. ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს" წარმომადგენელი
მამუკა სალუქვაძე - ა.ა.ი.პ. ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს" წარმომადგენელი
გოგი აბაშიძე - ა.ა.ი.პ. ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს" წარმომადგენელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

თემურ კალანდაძე - ლობისტი
ანა გაბრიაძე (უფლებადამცველი)
გვანცა რადლევსაკია (უფლებადამცველი)
ზურაბ ბაქრაძე (ურბანისტი)

დღის წესრიგი:

„თვითმმართველ ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03181862-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დაამტკიცა დღის წესრიგი. კომისიის თავმჯდომარემ, რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ სხდომაზე გენერალური გეგმის პროექტის ის ნაწილი განიხილება, რომელიც გამწვანებულ ტერიტორიებს და სარეკრეაციო სივრცეებს ეხება.

დედაქალაქის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის ძირითადი დოკუმენტის პროექტი წარმოადგინა ა.ა.ი.პ. ,,სითი ინსტიტუტი საქართველოს" წარმომადგენელმა ბატონმა მერაბ ბოლქვაძემ. მისი თქმით, გენგეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტი, ქალაქის კომპაქტურობის დაცვა და ერთიანი მწვანე ლანდშაფტური სივრცეების შექმნაა. მისივე განმარტებით, გენგეგმის პროექტი შვიდი საქალაქო პარკის მოწყობას, ასევე, მდინარე მტკვრის შენაკადების გახსნას და მათ არეალში გამწვანებული სივრცეების მოწყობას ითვალისწინებს. გენ. გეგმის კონცეფცია მდინარე მტკვრის გახსნას და ქალაქისთვის დაბრუნებას, ასევე, იმ სივრცეებში, სადაც მტკვარი ჯებირებით არ არის შემოსაზღვრული, გამწვანებული ტერიტორიების შექმნას გულისხმობს. თბილისში არსებული ყოფილ საწარმოო ტერიტორიებზე (ე.წ. „ბრაუნფილდები"), დაახლოებით 400 ჰექტარზე, მწვანე სივრცეების შექმნა იქნება შესაძლებელი. მერაბ ბოლქვაძემ ყურადღებაა გაამახვილა ასევე საპარკე ტერიტორიებზე, რომელიც საჭიროებს აღწერას და შესაბამის გამწვანებულ ტერიტორიებზე დატანას.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. გარემოს დამცველების და არქიტექტორების, ასევე საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს რევაზ სოხაძემ მერაბ ბოლქვაძემ და მაია ბითაძემ უპასუხეს.

ურბანისტმა ზურაბ ბაქრაძემ ყურადღება დაუთმო მახათას მთის პლატოსა და ვერეს ხეობის შენარუჩუნებას და დაცვას, როგორც რეკრეაციული სივრცე. ასევე დამატებით აღნიშნა რომ გადასახედია აღნიშნულ ტერიოტრიაზე მინიჭებული ფუნქციური ზონები, რათა აღიკვეთოს აქ მიწის ნაკვეთების სამშენებლო გამოყენება.

უფლებადამცველმა ანა გაბრიაძემ აღნიშნა რომ წარმოდგენილი გენ. გეგმის პროექტით არ ეთანხმება დიღმის ტყე-პარკის ზონირებას, თუ თბილისი პრიორიტეტად მიიჩნევს გამწვანებული ტერიტორიების დაცვას და მოვლა-პატრონობას, საჭიროა, დიღმის ტყეპარკის ტერიტორიებს, კერძო საკუთრებების ჩათვლით, მთლიანად დაედოს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა. მან აღნიშნა რომ ამჟამინდელი მდგომარეობით შ.პ.ს. ,,ანაგის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა, რაც დიღმის-ტყეპარკისთვის მეტად საზიანოა.

დიღმის ტყე-პარკთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა რევაზ სოხაძემ, მისი თქმით თბილისის მთავრობა მაქსიმუმს აკეთებს დიღმის-ტყე პარკის შესანარჩუნებლად,

გაიზარდა პარკის საზღვრები და მაქსიმალურად მოხდა ლსზ-ს განსაზღვრა მიწის ნაკვეთებისთვის, რაც შეეხება გაცემულ მშენებლობის ნებართვას, ეს არის არსებული მდგომარეობა, რომელიც გულისხმობს რეალურად შენობის რეკონსტრუქციას. ახალი ნებართვით ხდება დღეს არსებული უსახური შენობის დემონტაჟი და კეთდება საგამოფენო პავლიონი რეკრეაციული სივრცით.

უფლებადამცველმა გვანცა რადლევსკაიამ ყურადღება გაამახვილა ნინო ჟვანიას ქუჩაზე არსებულ მდგომარეობაზე და გენ. გეგმის ჯგუფს და დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე გაცემული განაშენიანების რეგულირებს გეგმის გადახედვა და ბათილად ცნობად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერის მოადგილემ მაია ბითაძემ აღნიშნა, რომ ჟვანიას ქუჩის ბოლოში ფიქსირდება არსებულ სტრუქტურასთან, ლანდშაფტისა და ისტორიული ლანდშაფტის დაცვასთან შეუთავსებადი განვითარებები და ამიტომ არეალი შეუსაბამო ტერიტორად არის მიჩნეული და მოხდება მისი გადახედვა.

ლობისტმა თემურ კალანდაძემ ისაუბრა ვაკის პარკის სტატუსსა და საზღვრებზე, მისი თქმით, მიუხედავად იმისა რომ ვაკის პარკის საზღვრები გაიზარდა, ის ტერიტორია არ არის აღიარებული პარკის სტატუსით და საჭიროა ეს საკითხი გადაიხედოს.

სითი-ინსტიტუტი საქართველოს წარმომადგენელმა მამუკა სალუქვაძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა, მისი თქმით, ზოგადად კანონმდებლობაც მოსაწესრიგებელია პარკის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, ამავდროულად ინვენტარიზაციაა სასწრაფოდ ჩასატარებელი, რათა დაახლოებით გამოისახოს რიცხვებში, თუ რა რაოდენობის და მასშტაბის ბაღს, სკვერს, ბულვარს თუ პარკს ფლობს დედაქალაქი. აღნიშნული პრობლემის მოუგვარებლობა ხელს შეუშლის სტრატეგიული დოკუმენტის შექმნას.

კომისიის თავმჯდომარის რევაზ სოხაძის თქმით, მმართველი გუნდის მიზანი სრულყოფილი გენგეგმის მიღებაა, რისთვისაც დოკუმენტის განხილვა გაგრძელდება და ამ მიზნით საკრებულოშიც კიდევ არაერთი შეხვედრა გაიმართება.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე